საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№01/17

„06“ იანვარი 2017წ.

შ.პ.ს. „ჰიო დეველოპმენტ“-ის
დირექტორს, ბატონ მეჰმედ თალის

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, თამარ მეფის გამზირისა და გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შენობაში ჩასატარებელი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაძლებლობის შესახებ.

გამოკვლევა ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, თამარ მეფის გამზირისა და გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (მისამართით თამარ მეფის გამზირი ქ.№24) მდებარე შენობას (ს/კ№01.13.07.026.043), სადაც შ.პ.ს. „ჰიო დეველოპმენტ“-ის მიერ გათვალისწინებულია სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება. არსებული შენობა აგებულია გასული საუკუნის 30-ან წლებში. იგი სარდაფის მქონე ხუთ სართულანია, გეგმაში Г-სებრი მოხაზულობის მქონე. ჩუბინაშვილის ქუჩის გასწვრივ შენობის ფასადის სიგრძე შეადგენს l=35.2მ.-ს; ხოლო თამარ მეფის გამზირის მხარეს l=15.95მ.-ს. შენობა სარაფისა და პირველი სართულის ფარგლებში მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანია ასევე მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (რიგელებიანი) გადახურვებით. დანარჩენი სართულები მზიდ კედლებიანია, ნაშენი ტუფის თლილი ქვის წყობით სისქით b=60სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ამგვარად შენობის კონსტრუქციული სქემა შეესაბამება საძირკველთან შემცირებული სიხისტის კონსტრუქციას ანუ შენობას პირველი მოქნილი სართულებით.

გამოკვლევით დადგინდა, რომ შენობას საძირკვლების არათანაბარი ჯდენებით ან რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანებები და დეფორმაციები არ გააჩნია და იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში.

ზემოთ აღინიშნა, რომ შ.პ.ს. „ჰიო დეველოპმენტ“-ის მიერ გათვალისწინებულია სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რომელთა დასრულების შემდეგ შენობაში განთავსდება სასტუმრო. ამ მიზნით დამუშავებულია პროექტი სადაც მეორე, მესამე მეოთხე სართულების ფარგლებში ეწყობა სასტუმროს ნომრები, ხოლო

სახურავის ფარგლებში უნდა განთავსდეს მანსარდა. ამასთან ერთად ჩუბინაშვილის ქუჩის გასწვრივ შენობის ფასადის მარჯვენა ტორსთან შიდა სივრცეში (კიბის უჯრედის მიმდებარედ) უნდა მოეწყოს ორი ლიფტის შახტა ზომებით l×b=250×175სმ. ვინაიდან აღნიშნული ნაწილის სართულშუა გადახურვები მთლიანად მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილებია, შახტების მოსაწყობად საჭიროა ფილების ნაწილობრივი დემონტაჟი. ფილების ნაწილობრივი დემონტაჟის შემდეგ, უნდა გაძლიერდეს არსებული მონოლითური რკინაბეტონის წიბო (რიგელი) და ფილის კონტური ფოლადის პროფილური ელემენტებისაგან შედგენილი კონსტრუქციებით.

დასკვნა:

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, თამარ მეფის გამზირისა და გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (მისამართით თამარ მეფის გამზირი ქ.№24) მდებარე შენობა იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში. პროექტით გათვალისწინებულია მეორე, მესამე მეოთხე და მეხუთე სართულების რეკონსტრუქცია სასტუმროს ნომრების განსათავსებლად. სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიხედვით, სართულშუა გადახურვებად მესამე მეოთხე და მეხუთე სართულზე დარჩება ხის კონსტრუქციები (ფიცრის იატაკებზე მოეწყობა მხოლოდ ცემენტ-ქვიშის მოჭიმვა რაბიცის ბადეზე) სასტუმროს ნომრების კედლები უნდა განხორციელდეს მსუბუქი კონსტრუქციული ელემენტებით, მაგალითად თაბაშირ-მუყაოს ორმაგი ფილებით. ფილებს შორის სივრცეში მოეწყობა თერმო და ბგერასაიზოლაციო მასალები. ლიფტის შახტების მოსაწყობად საჭიროა ფილების ნაწილობრივი დემონტაჟი ხოლო დემონტაჟის შემდეგ, უნდა გაძლიერდეს არსებული მონოლითური რკინაბეტონის წიბო (რიგელი) და ფილის კონტური ფოლადის პროფილური ელემენტებისაგან შედგენილი კონსტრუქციებით. პროექტის მიხედვით ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები არ გამოიწვევს არსებული შენობის საძირკვლის ძირზე დატვირთვების გაზრდას რასაც შესაბამისად არ მოჰყვება ფუძეზე გადაცემული ძაბვების გაზრდა და პლასტიკური დეფორმაციების განვითარება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განხორციელებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების შედეგად შენობის მზიდუნარიანობა არ შემცირდება და მისი მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

დიპლომი

КВ № 153475

ეს დიპლომი მიეცა საველიძე
მიხეილ ივანეს ძე საველიძის
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985წელს დაამთავრა
სრული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ხიდები და
გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„29" ივნისის გადაწყვეტილებით
ქ.ი.საველიძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986წ. „31" XII

სარეგისტრაციო № 4810

Грузинский яз.

ДИПЛОМ

КВ № 153475

Настоящий диплом выдан Савелидзе
Михаилу Ивановичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „29" июня 1985 г.
Савелидзе М.И.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор

М. П.

Город Тбилиси „31" XII 1986 г.

Регистрационный № 4810

Московская типография Гознака. 1982.

არსებული ფოტო





არსებული ფოტო

